6379

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 18 ივლისი, 1941 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო

№ 29 (188) ფასი 30 კაპ.

ფაშიზმი განადგურებული იქნება

22 ივლისს ერთი თვე შესრულდება, რაც მიმდინარეობს გააფთრებული ომი ცოფიანი ჰიტლერის ურდოებსა და მამაცი წითელი არმიის შორის, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სიბნელისა და სინათლის შორის, გრანდიოზული ომი, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის და ჩვენი პლანეტის ისტორიას. მოულოდნელად და მუხანათურად ჩვენს სამშობლოს თავს დაესხა გერმანული ფაშისტური ურდო, უსულგულო ავტომატად ქცეული ფაშისტური არმია, რომელმაც თავისი ველურობით დაჩრდილა ჩინგისხანის და თემურლენგის ბარბაროსული ლაშქრობა.

ამ უსასტიკესი ომის განვლილი ეტაპი—იყო ჩვენი სამშობლოს, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის მრისხანე გამოცდა, რომელმაც მთელს ქვეყნიერებას დაანახა, თუ რა შეუდრეკელ, გაუტეხელ ძალას წარმოადგენენ ჩვენი მშობლიური წითელი არმია, საჰაერო და საზღვაო ფლოტი, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი. გაცოფებულ, ურიცხვ ველურ მტერს წინ გადაეღობა არა მარტო ჩვენი სახელოვანი ჯარის შეუდრეკელი სიმამაცე, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელიც მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე კიდევ უფრო გაღრმავდა და გასალკლდევდა. სისხლიანი ფაშიზმის შესამუსრავად დაიძრა მთელი საბჭოთა ხალხი, ქალი და ვაჟი, ჭაბუკი და მოხუცი. ამ უმაგალითო პატრიოტული აღტყინების და ერთსულოვნობის ნაყოფია ის, რომ ბანდიტ ჰიტლერს ზღვა-სისხლად უჯდება ყოველი გოჯი საბჭოთა მიწისა, რომ განადგურდა და მტვრად იქცა ფაშისტთა საუკეთესო დივიზიები. ამ უმაგალითო მსხვერპლის ფასად ფაშისტ ყაჩაღთა ბრბომ დაიკავა ჩვენი თვალუწვდენელი ტერიტორიის მცირე ნაწილი, რომელიც მტერს არ დანებებია და არც დანებდება.

მტრის უბედურება ის არის, რომ ვერცერთ საბჭოთა სოფელს იგი აღებულად და დაპყრობილად ვერ ჩათვლის, რადგან მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე არა თუ არ სწყდება, არამედ უფრო მძაფრდება და დაუნდობელი ხდება საბჭოთა ხალხის ბრძოლა მტრის ზურგის გასანადგურებლად.

მტრის უეჭველი მოსპობის საწინდარი ისიც არის, რომ მის მიერ ჩვენი მიწის თვითეული მტკაველის დაკავება არა თუ ადუნებს, და ასუსტებს, არამედ ამძაფრებს და აძლიერებს საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფას და მის შრომის უნარს. თავგანწირულად იბრძვის ჩვენი მამაცი არმია, ასეთივე თავდაუზოგველობით მუშაობს ყოველი ჩვენი საწარმო, ყოველი ჩვენი კოლმეურნეობა, ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის ყოველი უჯრედი. საარაკოდ იზრდება შრომის ნაყოფიერება, საარაკოდ დიდდება ნავთის ამოღება, ლითონის წარმოება, ტანკების, თვითმფრინავების, ტყვიამფრქვევების, შაშხანების დამზადება. წარმოუდგენელი სისწრაფით იმკება ყანები და ახალი უხვი მოსავლით ივსება საბჭოთა ქვეყნის ბეღლები. იმას, რასაც თავისი მამულის დაცვას ახმარს საბჭოთა ხალხი, ერთი-ორად და ერთი-სამად ინაზღაურებს იგი თავისი დაუზოგველი შრომით თავის დაუშრეტელ წყაროებიდან.

შეუპოვარი ბრძოლისა და შრომის ეს არნახული პათოსი ერთ-ერთი უტყუარი თავდებია იმისა, რომ მტერი სამარეს გაითხრის ჩვენს მიწა-წყალზე.

ბრძოლისა და შრომის ეს ენტუზიაზმი, რაც დრო გავა, იმატებს და გაძლიერდება, რადგან საბჭოთა ხალხი ამ წმინდა სამამულო ომში მარტო არ არის. სისხლიანი ფაშიზის გაცამტვერება გადაიქცა მთელი კაცობრიობის საქმედ, უკვე ფეხზე დადგნენ და იარაღს ისხამენ ჩვენი დიდი სამშობლოს გმირული ბრძოლით გამხნევებული ხალხები, ფაშიზმის მიერ დაპყრობილნი და გათელილნი. ჰიტლერიზმის გასანადგურებლად გაერთიანდა მსოფლიოს ორი ბუმბერაზი ქვეყნის—საბჭოთა კავშირის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძლიერება და შეუპოვარი საბრძოლო ნებისყოფა, რომელთაც ამაგრებს უპირველესი და უდიდესი ინდუსტრიული ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება. ეს ფაქტი ამ თავითვე თავზარს სცემს და მორალურად ანადგურებს სისხლიან ფაშიზმს, რომელიც ამ ფაქტში თავისი აღსასრულის დასაწყისს ხედავს.

დასაღუპავად განწირული გაცოფებული მხეცი, ცხადია შეეცდება თავის გადასარჩენად გააკეთოს არა ერთი და ორი ნახტომი, მაგრამ ეს იქნება მისი უკანასკნელი სასიკვდილო გაბრძოლება: იგი შეასკდება და ტვინს შეასხამს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების ერთიანი ფრონტის რკინის კედელზე.

„ფაშიზმი განადგურებული იქნება, რა მსხვერპლიც უნდა მოითხოვოს ამან. გამარჯვება თავისუფალ ხალხებს დარჩება“ (პრავდა“)—ასეთია საბჭოთა კავშირის და მთელი მოწინავე კაცობრიობის ურყევი რწმენა, რომელიც უძლეველ მატერიალურ ძალად ქცეული, მიწის პირისაგან აღგვის ფაშისტურ ბარბაროსობას და მის სახსენებელს.

გამარჯვება

შალვა დადიანი

ეს სიტყვა, მანიშნებელი დაბრკოლებათა გადალახვისა და მტრის ძლევისა, ხალხის პირში „გამარჯობა“-დ ქცეული, საუკუნეთა განმავლობაში მისასალმებელ სიტყვად იქცა.

ეს არა ჰგავს თვინიერ „დილა მშვიდობისა“-ს, ან წყნარ საღამოზე თქმულს „საღამო მშვიდობისა“-ს.

თუმცა აქაც სიტყვა „მშვიდობა“ ერთგვარ გამაფრთხილებელ ნიშანს იძლევა.

„გამარჯვება“ მაინც სულ სხვაა. აქ სიმხნევეა ჩაქსოვილი და ჩვენი ხალხის სულის უდრეკელობა. იგი უთუოდ წარმოშობილია ომიანობის დროს. იგი ლოზუნგია ქართველებისა. ამ ლოზუნგში დარიგებისა და ბრძანების კილოც მოისმის: მომარჯვებულად იყავ, იმარჯვე, სძლიე (მტერს, დაბრკოლებას).

გამარჯვება! ამისაკენ მიილტვოდა მუდამ საქართველო და დღესაც, როდესაც გათავხედებული გერმანიის ფაშიზმი ესე ვერაგულად შემოესია ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა საქართველო თავის მოძმე ხალხებთან ერთად, როგორც ერთი კაცი, აღსდგა იმ მოურევნელი სურვილით, რომ გაიმარჯვოს.

არასოდეს ამ სიტყვას არ მისცემია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც დღეს. დღეს უფრო ცოცხლად, ხელშესახებად ვგრძნობთ მის დიდ შინაარსსა და დიდ სიმძიმეს.

გამარჯვება! ამ ლოზუნგით მიდის დღეს მთელი საბჭოთა კავშირი დამთხვეულ ფაშიზმის წინააღმდეგ.

აღსდგა ქართველი ხალხი დიად სამშობლოსათვის, დიდ **სტალინისათვის!** და გამარჯვების ყიჟინით მიემართება ბრძოლის ველზე, როგორც ოდესღაც იგი მიემართებოდა არაბთა ურდოებსა, ლანგთემურის მოთარეშეთა და სხვა აღმოსავლურ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ბევრ გზის დადგომია საქართველოს განსაცდელი. თავს დახვევია მტერი ურიცხვი, ბევრის-ბევრი, მაგრამ როდესაც ხალხი აღმდგარა, ამხედრებულა, მტერი მუდამ სირცხვილეული განუძევებია სამშობლოს საზღვრებიდან, გაუმარჯვნია.

გაუმარჯვნია იმისათვის, რომ იგი მუდამ აწარმოებდა სამართლიან ომს. ომს თავდაცვისათვის, სამშობლოსათვის. ჩვენმა ქვეყანამ იცის, რასაც ნიშნავს სამამულო ომი.

ამის მაგალითი ჩვენს ისტორიაში უამრავია.

და ეხლა, როდესაც უკრაინისა და ბელორუსიის თვალუწვდენელ ველებზე სასტიკი ომი სწარმოებს, ქართველმა კარგად იცის, რომ მის დიად სამშობლოს შემოესია კადნიერი მტერი.

ქართველმა იცის ,რომ მისი სამშობლო ამჟამად მარტო საქართველოთი არ შემოისაზღვრება, რომ ის ამჟამად მთელი დიდი ქვეყნის, სსრ კავშირის პატრიოტია და მის წმინდა მოვალეობას შეადგენს ამ სამამულო ომის წარმოება.

ცხადზე უცხადესია, ქართველი მეომრებიც, როგორც ღირსეული წევრები ჩვენი უძლეველი, საყვარელი წითელი არმიისა, გამოიჩენენ გმირობას, მამაცობას (ამის მაგალითები უკვე გვაქვს) და ბრძოლის ველზე მთელ ჩვენ დიდ სამშობლოსთან ერთად მათ დახვდებათ სახელოვანი, სასიქადულო გამარჯვება!

ახლა, როცა დაუნდობლად
სისხლისმსმელი მოდის მტერი,
ყველაფერი ფრონტისათვის,
ფრონტისათვის ყველაფერი!

კაციჭამია

რატომ სტირიან ქვრივები ნორვეგიასა და საბერძნეთში? რატომ გადაიწვა რუანი, განადგურდა ბელგრადი, დაინგრა როტერდამი? ახალგაზრდობაში ვინმე ადოლფ ჰიტლერს მხატვრობა იტაცებდა, ის რაფაელად გახდომას ოცნებობდა. იგი უნიჭო იყო, იგი დაიწუნეს. აღშფოთებულმა წამოიძახა: „ნახავთ, როგორ გავხდები სახელგანთქმულ კაცად“. მან გაამართლა თავისი სიტყვები. ევროპის დანგრევა-განადგურების ყოველ სურათს მისი წყეული გვარი აქვს მოწერილი.

გერმანელმა ფაშისტებმა სხვების ქონების დატაცების გასამართლებლად „რასული თეორია“ გამოიგონეს. ამ თეორიის მიხედვით, გერმანიის რასა განირჩევა თავის ქალის განსაკუთრებული ფორმით და სახის ნაკვთების კეთილშობილებით —ამიტომ გერმანელები მთელ დედამიწას უნდა განაგებდნენო.

თუ ასეა, თვითონ ჰიტლერი უნდა წარმოადგენდეს „გერმანიის რასის კეთილშობილების“ ნიმუშს. ავილაპარაკოთ გერმანიის ცნობილი ანთროპოლოგი პროფესორი მაქს ფონ-გრიუბერი. ეს პროფესორი ჰიტლერის გამეფებამდე ექსპერტად გამოვიდა მიუნხენის სასამართლოს სხდომაზე. აი რა განაცხადა მან ჰიტლერის გარეგნობის შესახებ: „დაბალი დაქანებული შუბლი, წვრილი თვალები, ულაზათო ცხვირი, განიერი ყვრიმალის ძვლები, სახის გამომეტყველება ისეთი, რაც ცხადყოფს ადამიანს, რომელმაც თავის დაჭერა არ იცის, ცხადყოფს სულიერად ავადმყოფ ადამიანს“.

ჰეიდენი ჰიტლერის დებიუტების შესახებ გადმოგვცემს: „იგი ელეგანტურ ტანისამოსში გამოწყობილი და ვარდების უზარმაზარი თაიგულით შემოვიდა დარბაზში და ეამბორა დიასახლისის ხელს. მას გააცნეს სტუმრები. ჰიტლერი ჰგავდა იმ პროკურორს, რომელიც სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანას ესწრება. როდესაც დაილაპარაკა, ერთ-ერთ მეზობელ ოთახში ბავშვს ტირილი აუვარდა, — ჰიტლერის ძალზე მაღალმა, უსიამოვნო და მკვახე ხმამ მძინარე ბავშვი გამოაღვიძა“.

ჰიტლერს აუტანელი ხმა აქვს — იგი გაგონებს ძაღლის ხრინწიან ყეფას, რომელიც თანდათან ყურის წამღებ წკავ-წკავად იქცევა. ლაპარაკის დროს ჰიტლერი იწყებს პრანჭვა-გრეხას, ხტუნვას და ბოლოს ისე ხელდება, რომ მკითხავივით გაჰკივის, უაზრო სიტყვებს ისვრის. ჰიტლერმა კარიერა დაიწყო დემაგოგიური სიტყვებით მიუნხენის თამბაქოს ბოლით შებურვილ ლუდხანებში. რღვევა-ნგრევით და ინფლიაციით გაპოროტებული ბიურგერები სტკბებოდნენ ბნედიანის უაზრო კივილით. ამჟამად ჰიტლერი გვევლინება გაშმაგებულ ადამიანად, რომელსაც სურს ხალხის აგულიანება მაგრამ ის სულიერი უწონასწორობა, რომელიც სიყრმიდანვე თან სდევდა მას, ყოველ ანგარიშს ურევს, — და რაიხსკანცლერი ბნედიანივით გაჰკივის.

ჰიტლერის წარსული წყვდიადით არის მოცული. მისი მამა ავსტრიელი მოხელე იყო. თვითონ ახალგაზრდობაში საეჭვო ნახატებს ჰყიდდა, შემდეგ ჯაშუშობას ეწეოდა — მუშათა კრებებს ესწრებოდა და სადაც საჭირო იყო ასმენდა „შფოთიანებს“. წასულ ზაფხულს ეს ყოფილი ჯაშუში ზეიმით შევიდა დაცარიელებულ პარიზში და ეიფელის კოშკის ფონზე თავისი სურათი გადააღებინა.

ჰიტლერმა თავისი პოლიტიკური აღმავლობა დაიწყო, როგორც მძიმე ინდუსტრიის პატრონთა მიერ წამოყენებულმა კაცმა. მრეწველთა კრებაზე ესენში ფოგლერმა, კირდორფმა და ტისენმა ჰიტლერი მხსნელად აღიარეს. ჰიტლერს ფული სჭიროდა, ამასთან სჭიროდა ბლომად. მან მრეწველებს გამოუცხადა: იხსენით თქვენი მხსნელიო.

მუშებს ჰიტლერი ეუბნებოდა: მე მოვსპობ პლუტოკრატიასო. სხვა ენით ესაუბრებოდა იგი მსხვილ კაპიტალისტებს: ჩვენ გავინაწილოთ ამპლუებიო. თქვენ დაიტოვეთ ეკონომიკა, მე კი ვიკისრებ პოლიტიკასო. მის დასაყრდენად გადაიქცა მილიარდელი ფოგლერის ორგანიზაცია „ფოლადის კავშირი“. ფოგლერს ჰიტლერი დიდ მოგებას ჰპირდებოდა, არწმუნებდა — ნამდვილი სერიოზული ომი იქნებაო. და ჰიტლერმა გერმანელ ხალხს გამოუცხადა: „მშვიდობისაგან ადამიანი ილუპება, იგი ხარობს მხოლოდ და მხოლოდ ომისაგან“.

გერმანიის საუცხოვო ტექნიკა, მისი ხალხის შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა ჰიტლერმა მიმართა მხოლოდ ერთისაკენ—ძარცვა-გლეჯისაკენ, ყაჩაღობისაკენ. მსოფლიოს და საკაცობრიო კულტურას მოწყვეტილ ახალგაზრდა გერმანელებს ჰიტლერი არწმუნებს, რომ გერმანია მთელ დედამიწას უნდა ფლობდეს და ბატონობდესო. განდიდების მანია მან საერთო სავალდებულო სენად გადააქცია. მუქარით, შანტაჟით, ეშმაკობით მან გასტეხა და გადალახა ბევრი მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგობა. ჰიტლერი კვლავ უვიც ადამიანად დარჩა, ისეთ ადამიანად, რომელიც გოროსკოპებს შესწავლას მისდევს. მაგრამ მის ქუსლქვეშ მოექცა ოთხმოცი მილიონი გერმანელი და გერმანელი ფაშისტების მიერ დამონებული სხვა ქვეყნების ასმილიონიანი მოსახლეობა.

ჰიტლერი უხეირო კომედიანტია. მან სასახლე კლდეებში აიშენა. იგი ვეგეტარიანია — დიახ, ამ კაციჭამიას, სულ ცოტა, ხუთი მილიონი ადამიანის სულის დამღუპველს, არ შეუძლიან ხარის ან ბატკნის ტანჯვის დანახვა.

ჰიტლერი უაღრესად დაუნდობელია. მან განაცხადა: „წესიერების დასამყარებლად საჭიროა ფანრის ყოველ ბოძზე თითო ადამიანი ჩამოახრჩოთ“-ო. იგი აღმერთებს წამებას. მას მუდამჟამს აცნობებენ ადამიანთა ახალ-ახალ დახვრეტას, ახალ-ახალ ჟლეტას. ამის გაგონებაზე მისი პაწაწა თვალები სიამოვნებისაგან ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიან.

იგი ხეპრეა, ბრიყვი. 1937 წელს მიუნხენში „გერმანული ფერწერის გამოფენის“ დამთვალიერებელნი იშვიათი სანახაობის მოწმენი გახდნენ: გერმანიის რაიხსკანცლერი საკუთარი ხელით ხევდა და ჰგლეჯდა იმ სურათებს, რომლებიც მის მახინჯ გემოვნებას არ მოეწონა.

მან დაანგრია ევროპა. მიუხედავად ამ ნგრევა-რღვევისა, იგი ერთ დროს არქიტექტორის კარიერაზე ოცნებობდა და მისი მითითებით ფაშისტმა მფრინავებმა ათასობით დაანგრიეს მსოფლიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები. ჰიტლერმა სთქვა: მთელ მსოფლიოს დავანგრევო.

ჰიტლერს დედამიწის ყველა ხალხი სძულს: მის სულს ახარებს სხვათა წამება და მოსპობა. მან თავის მეგობარს რაუშნიგს უთხრა: „ებრაელები რომ არ არსებობდნენ, საჭირო იქნებოდა მათი გამოგონება. მხოლოდ გულქვაობა, სიმკაცრე აახლოვებს ადამიანს მოძრაობასთან“-ო. მან ფრანგებზე დასწერა: „ფრანგები ზანგები არიან, საჭიროა მათი ალაგმვა“-ო. ჰიტლერი შურს იძიებს ჩეხებზე — მისი დედინაცვალი ჩეხი ქალი იყო. მან სთქვა: „ესენი სლავური ღორები არიანო“.

განსაკუთრებით სძულან ჰიტლერს რუსები. ამ ბრიყვმა კრეტინმა ლევ ტოლსტოის „დღენაკლული“ უწოდა.

ჰიტლერს სძულს გერმანელი ხალხი, მან უთხრა შტრასერს: „ჩვენს მუშებს პურისა და სანახაობის გარდა არაფერი არ უნდათ—მათ იდეალები არ მოეპოვებათ“-ო. მან ბევრი სანახაობით გააკვირვა გერმანელები. ნახეს მათ ცეცხლმოდებული წიგნების კოცონები. ნახეს გალატაკებული და გაველურებული გერმანია. ასი ათასობით ნახეს ჯარისკაცთა ქვრივები. ნახეს ნანგრევები ბერლინის ცენტრალურ ქუჩაზე. უნტერდენ-ლინდენზე—ეს იყო სამაგიეროს გადახდა ლონდონის ბარბაროსული ბომბარდირებისათვის. სანახაობის საქმეში ჰიტლერი გულუხვი იყო. მან არ მისცა ხალხს პური. სამაგიეროდ უბრძანა ჯარისკაცებს — ცეცხლითა და მახვილით მოიპოვონ პური. მან გადათელა დასავლეთი ევროპა და ბალკანეთი. პური გადაჭამეს. მაშინ მან მშიერი ურდოები აღმოსავლეთისაკენ გამორეკა.

შვედი ჟურნალისტი, რომელსაც ამას წინათ ჰიტლერთან უსაუბრია, ამბობს, რომ კაციჭამია ჩამოხმა, დაეჭვდა, დაიტანჯა უძილობით. დარბის თავის სასახლეში და ცოფებს ჰყრისო. ჰგრძნობს, ალბათ, მოახლოვებულ დაღუპვას. ვეღარ უშველის ვერავითარი ძილისმომგვრელი წამალი: ღამის დუმილში ცხადად ესმის მოკლულთა ხმები, ესმის შურისძიების ხმა.

წინათ, როცა ჰიტლერი გერმანიის ქალაქების ქუჩებში გაივლიდა, ყვავილებს ესროდნენ — იგი აღმერთებს თაგვისყურას და იასამფერას. ერთხელ თაგვისყურის ყვავილებს შორის საკმაოდ მძიმე ქვა აღმოჩნდა; სჩანს, რომელიღაც პატივისმცემელმა გადასწყვიტა — ყვავილებით ჩემს გრძნობას ვერ გადავცემო... ამჟამად ყვავილების მირთმევა აკრძალულია: თაიგულები ნაადრევიაო. ბერლინელები ჩურჩულით ოხუნჯობენ: „იგი ოცნებობს დაფნის გვირგვინით ჩასვენებას საფლავში“... საეჭვოა, მის საფლავს დაადონ რამ, უბრალო ქვაც კი. მაგარი პალო — აი მისი ძეგლი!

ილია ერენბურგი.

წერილი სამამულო ომის გმირებისადმი

ალიო მაშაშვილი

მე მუდამ ბრძოლის ლექსებით ვღაღადებ, განა ქნტირი მე,
მტრის გულის ასაფეთქებლად ნაღმად დამქონდა სტვირი მე!

დღეს ჩემი თოფი თან მახლავს, — გავსწმინდე, გავაყირიმე,
მტერს ტყვია რომ არ ვაგემო, ხომ შევირცხვინე პირი მე!

სამშობლო გასაჭირშია, მზად ხართ? მთელის ხმით ვყვირი მე,
მთებიდან, დაღმართებიდან — მზად ვართ! მეძახის გმირი მე!

დასცხეთ, დაჰკარით, ბიჭებო! არ ვნახო მათი ძირი მე,
სად მეგულება სამშობლო მტრებისთვის გასაწირი მე!

არ გამეგონოს არასდროს მანდ თქვენი გასაჭირი მე,
დასცხეთ, დაჰკარით მტარვალებს! დაჰკარით, თქვენი ჭირიმე!

მამულს უთხრათ გამარჯვება

სიმონ ჩიქოვანი

მხნე მოხუცი თუ ჭაბუკი,
სოფლის გზაზე რომ შეგხვდება,
მგზავრს აგზომავს თვალის შუქით,
მკვირცხლად გეტყვის—გამარჯვება!
ჭირში, ლხინში გვინერგავდა
თქმული სიტყვა გაკაჟებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა
მშობელ კუთხის გამარჯვება.
წინაპრები ჰქონდნენ ოდით,
საზღვრად ვიდგეთ დარაჯებად
და როცა მტერს მოველოდეთ,
ხმალზე ვსწერდით გამარჯვებას.
დაგვილოცა მკლავი ძველმაც,
გვითხრა, ხელი მოგიმართოთ
მოქნეულმა ხმალის ელვამ
ბრძოლის ველი გაგინათოს.
გუთნისდედის ხმა ისმოდა,
იდგნენ ციხის დარაჯებიც.
წინაპრების წინ მიჰქროდა
მჭექარე ხმა გამარჯვების,
და ეს სიტყვა მოდგმას გვერგო —
მისალმების აღმნიშვნელი,
ვაჟკაცობით რომ შეგვემკო
ლურჯი მთა და მწვანე ველი.
დღეს ორკეცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მეომრებს, ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება!
მტერი ბევრი დაინისლა,
მაგრამ მტერი ჯერ არ ცხრება.
გულში რეკავს სტალინისგან
ბრძნულად თქმული გამარჯვება.
მისი შუქი გზას გვინათებს,
მტერი აღარ გადარჩება,
ჩვენს მხედრებს და ჩვენს შევარდნებს
მტრის ურდოზე გამარჯვება!
მტერი ტყვიით დაისაჯოს,
მტერს სიკვდილი, დამარცხება!
სტალინის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება!
ერთი გრძნობით დავილამოთ,
რაც ბრძოლაში გაგვიძლდება.
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ: გამარჯვება!

მწერლები კლუბებში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის კლუბებში მოეწყობა დიდი ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები და მოხსენებები. საღამოებზე წაიკითხავენ მოხსენებებს შემდეგ თემებზე: „ფაშიზმი — კაცობრიობისა და კულტურის უბოროტესი მტერი“, „მსოფლიოს მოწინავე მწერლები ფაშიზმის აგრესიის წინააღმდეგ“, „საბჭოთა ხალხების სამამულო ომი და ქართული მწერლობა“ და სხვა.

ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, პროზაიკოსები და კრიტიკოსები: ალ. მაშაშვილი, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, სანდრო შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, ირ. აბაშიძე, გ. ქუჩიშვილი, სანდრო ეული, გიორგი კაჭახიძე, ბეს. ჟღენტი, ვანო წულუკიძე და სხვები.

მწერლები ეხმარებიან წითელარმიულ გაზეთს

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ბოეც რკაკა“-ს რედაქციაში გამართულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ წითელარმიული გაზეთის რედაქციის მუშაკები, მხატვრები და მწერლები, პოეტებმა — ი. გრიშაშვილმა, სანდრო ეულმა, სიმონ ჩიქოვანმა, სიკო ფაშალიშვილმა, გრ. აბაშიძემ, ბ. სერებრიაკოვმა, იონა ვაკელმა, გრ. ცეცხლაძემ, რ. ივნევმა, იაკინთე ლისაშვილმა, გ. კრეიტანმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები — სისტემატურად ითანამშრომლონ გაზეთში, კერძოდ ხელი შეუწყონ იუმორისტული განყოფილების შექმნას.

ფრონტზე მიდის ამხანაგი,
მრისხანე და ღონით სავსე,
ფრონტს ზურგიდან დაეხმარე
მისი დაზგა შეითავსე!



თხოვნის „დაკმაყოფილება“

ნახატი ზაალიშვილისა.

პოლონელი მოსახლეობა სკოლების გახსნას ითხოვს. ფაშისტ მმართველსა საპასუხო რეზოლუცია ასეთია:

„კარტოფილის ამოღება და ქუჩის დაგვა განათლების მიუღებლადაც შეიძლება, ეს კი ერთად ერთი სამუშაოა, რომელსაც პოლონელები მომავალში შეასრულებენ“.

ვიყოთ ფხიზელნი

ალ. აბაშელი

ავლაგმოთ ყველა ხელის შემშლელი,
ქვეყნის დაცვისთვის მავნე და ურგი.
საჭირო საქმის დროზე შერჩევით
ჩვენ გავუმაგროთ მებრძოლებს ზურგი.

ვებრძოლოთ ორპირს, ცრუსა და ლაჩარს,
ჭორიკანობით ვინც საქმეს გვირევს,
ვინც ქვეყნის დაცვის გარეშე დარჩა
და ხელს არ უწყობს სამშობლოს გმირებს.

ვიყოთ ფხიზელნი დღითა და ღამით
და გამოვისხათ თვალი ათასი,
რომ არ დაღვაროს მტრის ხელმა შხამი
სამშობლოს ქვეყნის ოქროს კალთაზე.

ვაშენოთ, ვბეჭდოთ, თუნდ ვზიდოთ ქვები,
ნურც ერთი შრომა ნუ გვეზარება.
ყოველი საქმე ღირსია ქების,
თუ ქვეყნის დაცვას დაეხმარება.

ჩაქუჩით, ნამგლით, თოფით თუ კალმით
ჩვენ მოვიხადოთ ქვეყნის წინ ვალი.
დღითა და ღამით, დღითა და ღამით,
ფხიზლად გვეჭიროს ორივე თვალი!

მამაც მებრძოლებს

სოლომონ თავაძე

აღსდგა, ამხედრდა, ბობოქრობს
სამშობლოს ძალთა მძლეობა, —
ეს ჩვენი გულის გზნებაა,
ჩვენი უტეხი მხნეობა.
გასძახე, გასწი, გაფრინდი,
სალამო ელვისფრთიანო,
ჩვენო მამაცო მებრძოლნო,
ყველა ერთ ჰანგზე ვხმიანობთ:
— ძრწოდე შენ, კაციჭამიავ,
მტარვალო, მტრობის მთესავო,
გველთა, ჯაშუშთა ბუნაგო,
მოღალატეთა მგეშავო!
ძრწოდე შენ, გესლით აღვსილო,
გულღვარძლიანო ბებერო,
მუდამჟამს იმას ნატრულობ,
მკვდრების სუდარა შეჰკერო!
ადამიანის ტვინსა სწოვ,
ღამეს აყრუებ ყეფითა,
ამოვსებულხარ ყელამდე
ჩვილი ბავშვების ძვლებითა!
გაუმაძღარო ფაშვებო,
ხომ კი დაანთეთ ხანძარი, —
დაგვაცა, ისე შეგმუსროთ,
არ დარჩეს თქვენი ნაცარი!

აჰა, ჟრიალებს ლაჟვარდი,
სულში იღვრება ნათელი:
სულ მალე ვნახავთ მტრის ბუნაგს
ძირბუდიანად გათელილს.
მაშ ისევ გასწი, გაფრინდი,
სალამო ელვისფრთიანო, —
ჩვენც მუდამ თქვენთან გვიგულეთ,
ბიჭებო ომახიანო!
დასცხეთ, დაჰკარით, შემუსრეთ,
იელვეთ, როგორც ელავდით!
ტრფიალით შემოგყურებდეთ
ჩვენი მამა და ბელადი!

სიმღერა

გრიგოლ აბაშიძე

როცა ზეცა წითელია,
მიწა ცეცხლად გადამდნარი,
როცა ფეხის დასადგმელი
ჯაბანისთვის არსად არი;

როცა მტერი ემუქრება
ცას და მიწას, დიდს და მცირეს,—
შენი ქვეყნის გამარჯვებას,
შენს სამშობლოს შეეწირე.
შენს სიმართლეს,
შენს სიყვარულს,
შენს სახლკარს და
აკვან-ბუდეს,
შენი ქვეყნის წმინდა საზღვრებს
შემოევლე რკინის ზღუდედ.

ახლა ცა რომ წითელია,
მიწა ცეცხლად გადამდნარი,
ჩვენში ფეხის დასადგმელი
ჯაბანისთვის არსად არი.



„იძულებითი განცხადება"

ნახატი ვ. გვეტაძისა

25 წლის ჟურნალისტი ლეო კრელი მოიერიშეებმა შეათრიეს ფაშისტთა ყაზარმაში და მოჰკლეს. გვამი კი ებრაელთა სასაფლაოზე დააგდეს. დედა აიძულეს დაეწერა განცხადება, თითქოს ლეო კრელი ხანგრძლივ ავადმყოფობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კონცერტები წითელი არმიის ნაწილებში

საქართველოს ხელოვნების სამმართველოს და თეატრების ინიციატივით ჩამოყალიბებულმა მსახიობთა ბრიგადებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს წითელი არმიის ნაწილებში.

25 ივნისიდან დღემდე თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში ამ ბრიგადებმა 200-ზე მეტი კონცერტი გამართეს წითელი არმიის ნაწილებისა, გასაწვევ პუნქტებისა და საგარნიზონო ნაწილებისათვის.

ყოველდღიურად ბრიგადები 15 კონცერტზე მეტს მართავენ სხვადასხვა ადგილას. სახელმწიფო ოპერა და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი დღეში 3-4 ბრიგადას ჰგზავნიან, საქესტრადა ყოველდღიურად 4 კონცერტს მართავს.

ამჟამად მსახიობთა ორი ნაკრები ბრიგადა წასულია ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა რაიონში კონცერტების მოსაწყობად. ბრიგადაში შედიან მსახიობები: გასტენინა, შარატა-დოლიძე, ყვარელაშვილი, სალარაძე და ჯაფარიძე, დოლჟანოვი, მოსკვინი, ოვჩარენკო, ფედოროვა და სხვანი.

ბრიგადების რეპერტუარი მთლიანად შედგენილია საბრძოლო-პატრიოტულ და ანტიფაშისტურ თემატიკაზე.

განსაკუთრებული წარმატება აქვთ საქართველოს კომპოზიტორების მიერ დაწერილ ახალ საბრძოლო და ანტიფაშისტურ სიმღერებს.

**რომ საფლავში ჩაწვეს მალე
მტრების ურდო მედიდური,
ჩვენ სამშობლოს უნდა მივსცეთ:
მეტი ნავთი, მეტი პური!**

დიდება გმირებს

ბესო ჟღენტი

„საბჭოთა კავშირი მე მიმაჩნია მშვიდობიანობის დიად სახელმწიფოდ, ხოლო თუ ოდესმე ფაშიზმთან შეჯახების საათი დაჰკრავს, მე მწამს, რომ საბჭოთა კავშირი იქნება უდიადესი მეომარი სახელმწიფო" — სწერდა ჰენრიხ მანი ამ სამი წლის წინად.

მას შემდეგ, რაც ევროპის შუაგულში „მიხაკისფერმა ჭირმა" იფეთქა, რაც საკაცობრიო კულტურას და პროგრესს უბოროტეს საშიშროებად მოევლინა „ფაშიზმისა და რასობის საზიზღარი აჩრდილი" (როლანის სიტყვებია), მსოფლიოს მოწინავე ადამიანები აღფთოვანებული იმედითა და სასოებით შემოჰყურებენ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, როგორც კაცობრიობის ერთად-ერთ დამხსნელს ფაშისტურ ბარბაროსობისაგან.

ხასანის ტბასთან დატრიალებულმა დაუვიწყარმა ეპოპეამ, რომელმაც დიდების მარად ჩაუქრობელი შარავანდედით შემოსა ჩვენი მშობლიური წითელი არმიის სახელოვანი საბრძოლო დროშები, საბოლოოდ დაარწმუნა მოწინავე კაცობრიობა, რომ „საბჭოთა კავშირი შესძლებს თავი დაიცვას და განაცვიფროს მთელი ქვეყანა". ამ სიტყვების ავტორი ეპტონ სინკლერი მაშინ სწერდა: „საბჭოთა კავშირი მზად არის ომისათვის, და მთელი ქვეყანა დაინახავს თავისი თავისუფლების დამცველი რევოლუციური მუშების ძლიერებას, ხოლო სისუსტეს იმ დაქირავებული მონებისას, რომლებსაც საკუთარივე ინტერესების წინააღმდეგ საომრად მიერეკებიან".

საბჭოთა ხალხის დიადმა სამამულო ომმა ბრწყინვალედ დაადასტურა მოწინავე კაცობრიობის ეს იმედი და მოლოდინი.

სასიკვდილო აგონიით შეპყრობილ, გაცოფებულ ავანტურისტთა და ტერორიზებულ მონათა ურდოები ქურდულად და მუხანათურად თავს დაესხნენ გამარჯვებული სოციალიზმის დიად ქვეყანას. მრავალმილიონიანმა მრავალეროვანმა დევ-გმირმა საბჭოთა ხალხმა რაინდულად მიიღო ეს გამოწვევა და ეხლა უკვე მთელი ქვეყანა ხედავს, რა სასტიკად გაცრუვდა ჰიტლერის ავადმყოფური ფანტაზიით შეთხზული „ელვისებური დარტყმების" ანგარიში.

ომის დაწყებისთანავე, ჯერ კიდევ ჩვენი არმიის მთავარ ძალების გასვლამდე ბრძოლის ველზე, სიკვდილი და განადგურება იწვნიეს მტრის საუკეთესო დივიზიებმა, — ყაჩაღური ფაშისტური არმიის მილიონიანი ავანგარდი უკვე გაცამტვერებულია, მისი დიდძალი სამხედრო საჭურველი მოსპობილია. ჭეშმარიტად: „თავიდანვე ამ არმიას ბედი არ უწერია". რადგან:

„ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს,
ჭაობებს ვერ ეგნება,
რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს,
არ აქვს ამის შეგნება,
შეუგნებელ კაცის ბრძოლას
მადლი როდი ექნება".

(გ. ტაბიძე)

საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომი ყველაზე სამართლიანი, ყველაზე პატრიოტული და ყველაზე სახალხო ომია კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ სამართლიან ომთა შორის. ხალხი იცავს თავისი ოფლითა და სისხლით აღორძინებულ მშობლიურ მიწა-წყალს, რომელიც განუყოფელად და სავსებით მას ეკუთვნის. ხალხი იბრძვის თანამედროვე ვანდალების მიერ დამონებულ და ფეხქვეშ გათელილ ეროვნებათა გასანთავისუფლებლად, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის დასაცავად „რასისტული" ბნელეთის ტირანიისაგან.

სიამაყის გრძნობით სძგერს ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული იმის შეგნებით, რომ ჩვენი სამშობლო სათავეში ჩაუდგა და წინ მიუძღვის მთელი პროგრესიული კაცობრიობის სამართლიან ომს მეოცე საუკუნის სისხლიან ინკვიზიტორთა მოსასპობად.

უსაზღვროა საბჭოთა ხალხის გმირული აღფრთოვანება. გმირობა გადაიქცა საბრძოლველად ამხედრებული მილიონების საყოველთაო თვისებად. საბჭოთა ხალხის თავგანწირულების შესანიშნავ სიმბოლოდ დარჩება ისტორიას კაპიტან გასტელოს უმაგალითო გმირული საქციელი. ადამიანმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა, ხოლო სასიკვდილოდ განწირულმა ძვირად დაუსვა მტერს თავისი სიცოცხლე და იგი მტრისადმი გამანადგურებელი დარტყმით დააგვირგვინა.

ჩვენი სამშობლოს საამაყო გმირთა პლეადას ყოველდღიურად ემატებიან ახალი და ახალი სახელები.

ამოუწურავია ჩვენი ხალხის გმირული პოტენცია. მთელი მსოფლიო პრესა აღფრთოვანებული და განცვიფრებულია წითელი არმიის ყოველი სახის მებრძოლთა სიმამაცით, თავგანწირულობით. საბჭოეთის მრავალეროვანი დიადი არმიის რიგებში სახელოვნად იბრძვიან ქართველი ხალხის საამაყო შვილები. სამამულო ომის პირველსავე დღეებში სამშობლოს დევგმირ დამცველთა შორის იელვეს ქართულმა გვარებმა: ლებანიძემ, შაგირაძემ, სურგულაძემ, წურწუმიამ. აღსდგა თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხის უკვდავი გმირული ტრადიცია:

„იქნებ წამოდგა თვით გორგასლანიც,
ფორიაქობს და თვალს არ უჯერის,
როგორ ცოცხლდება ციხის ნაცარი
და ხმალი ელავს არტანუჯელი".

(ს. ჩიქოვანი)

ვერაგი მტერი ქურდულ დარტყმაზე ამყარებდა თავის ანგარიშებს. სამშვიდობო პაქტებს ამოფარებული იგი იმედოვნებდა, რომ მოულოდნელობით დაბნეულსა და წინააღმდეგობისათვის მოუმზადებელს მოუსწრებდა ჩვენს სამშობლოს. ეს ანგარიში გაუცრუვდა! საბჭოთა სახელმწიფოს შემქნელნი **ლენინი და სტალინი** დაუღალავად ზრდიდნენ მშვიდობიანი მშენებლობის მოყვარულ საბჭოთა ხალხს კაპიტალისტური გარემოცვისადმი შეუნელებელი სიფხიზლის სულისკვეთებით. სამშობლოს დასაცავად ბრძოლისათვის მზადყოფნა ყოველთვის იყო და არის ჩვენი ხალხის უმაღლესი და უპირველესი ღირსება. პოეტმა ალიო მაშაშვილმა ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟებისადმი მიძღვნილ ლექსში საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო, საამაყო თვისებები შემდეგნაირად გამოხატა:

„ხან ჰაერში დაჰქროლავენ,
არ აშინებთ ქარ-წვიმები,
მტრებს ტყვიებით ჩაჰქოლავენ,
ძირს დასცემენ აწივლებით...
სადაც საზღვრის პირებია,
დგანან გულმკერდ-გაკაჟებით,
ხმლებიც აუღირებიათ,
კაშკაშებენ ქარქაშები".

დიადი საბჭოთა ხალხის აზრი და გრძნობა, მისი შეუნელებელი სიფხიზლე მტრული ბანაკისადმი და საყოველთაო მზადყოფნა მშობლიური მიწა-წყლის თავისი მკერდით დაცვისათვის მკაფიოდ გამოსთქვა დიდი **სტალინისადმი** მიმართულ სიტყვებში პოეტმა გიორგი ლეონიძემ:

„და თუ გაბედავს, წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვეფარგლებით.
ძირს ჯავშანს შევაღრიალებთ,
მაღლა მფრინავებს ავყვებით,
ხმალს გადავაბამთ ხმალზედა,
მტერს გულში დავეჯახებით".

ახლა ქვეყანა ხედავს, თუ როგორ ბრწყინვალედ გაუმართლა ეს დაპირება საბჭოთა ხალხმა თავის საყვარელ ბელადს, თავის დედა-სამშობლოს, პროგრესისა და ჰუმანიზმის დიად იდეალებს.

აღფრთოვანებითა და განცვიფრებით შეჰყურებს მთელი მოწინავე კაცობრიობა, თუ როგორის ძალით და განუსაზღვრელი მაშტაბით ამართლებენ ჩვენი ლეგენდარული წითელი არმიის მებრძოლები პოეტის სიტყვებში გამოხატულ საყოველთაო მოლოდინს:

„თუ გაისმა განგაში,
მოსწყდებიან ჭენებით
ბუდიონის ლაგამში
დახედნილი ცხენები,
გასთელავენ იალალს,
ველებსა და ტაიგებს;
ჩვენს დაპირულ იარაღს
მტერი მაშინ გაიგებს".

(ი. მოსაშვილი)

ლენინისა და სტალინის მიერ გამოწრთობილი, დიადი საბჭოთა ხალხის მიერ მშობლიური მზრუნველობით აღზრდილი უძლეველი არმია ჩვენი სამშობლოსი აღსდგა თავისი წმინდათაწმინდა საქმის დასაცავად, თავისი დიადი ისტორიული მისიის განსახორციელებლად და ქვეყნიერებას აოცებს მისი დარტყმის გიგანტური ძალა. არა მარტო საერთაშორისო მუშათა კლასი, არამედ მთელი მოწინავე მსოფლიო ეხლა

„ჰქუხს: ვაშა წითელ არმიას,
რომელიც მტრების საყრდენ-
სადგურებს,
ჩვენს წინაამდეგ ამუშავებულს,
დალეწავს, დასწვავს გაანადგურებს".

(გ. ტაბიძე)

ერთიანმა გმირულმა პათოსმა მოიცვა მთელი ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენი მიწა-წყალი. განუყოფელია ფრონტი და ზურგი საშიშარი, ვერაგი და სამგზის წყეული მტრის მოსასპობად.

დიადი სახალხო ლაშქრობა დიდების ვაჟკაცურ ჰიმნს უმღერის დევგმირების მშობელ ქვეყანას, ჩვენი ეპოქის უპირველესსა და უდიდეს გმირს:

„იბედნიერე, ჩემო მხარევ, შენ მთებს,
შენ ველებს
გმირთა ნაბიჯზე, კიდევ გმირი
გაეკიდება,
ბელადს დიდება
შენი მიწის გმირს უპირველესს —
ბელადს დიდება".

(ი. აბაშიძე)

**დარტყმა გაბედა მოსისხლემ?
შენ ერთი ათად დაჰკარი!
მტერს შეხვდა ერთი კაცივით
სამშობლო ფეხზე დამდგარი,
ფრონტზე წითელი ჯარი დგას,
ზურგში სახალხო ლაშქარი.**

ფაშიზმის მხეცური სახე

ალ. ჭეიშვილი

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ფაშიზმს გზას ძალაუფლებისაკენ უნათებდნენ უნივერსიტეტების წინ დანთებული კოცონები, რომლებზედაც სწვავდნენ ადამიანის გონების საუკეთესო ქმნილებებს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში.

ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე თანამედროვე კანიბალებმა მოაწყეს ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა მოწინავე ინტელიგენციის გასანადგურებლად. მეცნიერებისა და ხელოვნების ყველაზე ნიჭიერი და მოწინავე წარმომადგენლები ფაშისტებმა ან საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაჰყარეს ან სავსებით გააძევეს გერმანიიდან.

კინოფილმი „ოპენჰაიმის ოჯახი", ფეიხტვანგერის ცნობილი რომანის მიხედვით გადაღებული, გვიჩვენებს მხეცურ სახეს ფაშიზმისას, რომელმაც სისხლიანი ტერორით დაიმონა გერმანელი ხალხი. ფილმი გვისურათებს გაცოფებული რეაქციის ბრძოლას კაცობრიობის პროგრესიულ ძალებთან. ფილმი იწყება იმით, რომ ფაშისტი ყაჩაღები არბევენ მუშათა უბნებს, ხოცვენ და ანადგურებენ ებრაულ მოსახლეობას, სცემენ ყველას, ვის არიულ წარმოშობაშიც ეჭვი ეპარებათ. აგერ ფაშისტმა ბანდიტებმა სწრაფად მიმავალ მეტროს ვაგონიდან გადაისროლეს გიმნაზიის მასწავლებელი, სრულიად უდანაშაულო გენციუსი. მის ადგილზე დანიშნეს მასწავლებლის მუნდირ-გადაცმული ფელდფებელი ფაშისტი, დეგენერატი ფოგელზანგი. ამ გარეწარს ვერ აუტანია, რომ გიმნაზიის დერეფანში მეფე ფრიდრიხ მეორის გვერდით ვოლტერის ბიუსტი სდგას. ეს ვაჟბატონი, რომელიც ვერ ითმენს ვერაფერს ისეთს, რაც კულტურისა და თავისუფლების ნიშანს ატარებს, ნამდვილ მტარვალად მოევლინა ჭაბუკ ბერტოლდ ოპენჰაიმს, რომელმაც მოხსენების თემად აირჩია „ჰუმანიზმი და მეოცე საუკუნე". მტარვალმა მასწავლებელმა შეიძულა ყმაწვილი არა მარტო ამ თემის არჩევისათვის, არამედ მრავალმხრივი ნიჭიერებისა და მაღალკულტუროსნობის გამო. გონებაჩლუნგი ფაშიზმი ვერ ურიგდება ვერავითარ თავისუფალ აზრს და ფართო გონებრივ ინტერესებს. ფოგელზანგი უწუნებს ბერტოლდ ოპენჰაიმს ამ თემას და აძლევს სულ სხვას, სახელდობრ—„ვინ არის ჩვენთვის არმინ გერმანელი". მას იმედი აქვს, რომ ბერტოლდი ამ ისტორიულ თემას გააშუქებს ფაშისტი მასწავლებლისათვის მისაღებ რეაქციულ-შოვინისტური თვალსაზრისით. მთელი სკოლა მძიმე სულიერმა განწყობილებამ მოიცვა. მოწაფეებს არა სურთ დაემორჩილონ ფაშისტი მასწავლებლის გავლენას, მთელს სკოლაში მას მხოლოდ ერთად-ერთი მიმდევარი ჰყავს — ვერნერ რიტერშტეგი, რომლის ძალა ის არის, რომ კარგად იცის ბებუთის ხმარება. ბერტოლდი მძიმე სულიერ დრამას განიცდის. იგი ეცნობა ისტორიულ წყაროებს, მიდის და ათვალიერებს არმინ გერმანელის მონუმენტს. იქ იგი ველური სცენის მოწმე ხდება: ფაშისტი მკვლელები ნადირობენ რევოლუციონერ მუშებზე. რიტერშტეგი ქურდული მიპარვით ზურგიდან ბებუთს ჩასცემს ბერტოლდის მეგობარს შოფერ პახინკას. ბერტოლდი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ფოგელზანგი ცდილობს ჩააგონოს მოწაფეებს კაციჭამიობის იდეოლოგია.

პატიოსანი და პირდაპირი ჭაბუკი ბრძოლას უმართავს ფაშისტური ბნელეთის მოციქულს — ფოგელზანგს. ბერტოლდი კითხულობს მოხსენებას ამ მტარვალის მიერ მოცემულ თემაზე, მაგრამ აშუქებს მას არა რასისტულ-ფაშისტური, არამედ სწორი ისტორიული თვალსაზრისით. ფოგელზანგი მოითხოვს, ამ კადნიერების გამო, ბერტოლდმა ბოდიში მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლიდან გარიცხვას იმუქრება. ამას მოსდევს შესანიშნავი სცენა ბერტოლდის ოთახში. შეურაცხყოფილი და შევიწროებული ბერტოლდი შეჰყურებს თაროზე დაწყობილ საყვარელი ავტორების — შილერის, ჰაინეს და სხვათა წიგნებს. კედლიდან მას ღრმა სევდით დაჰყურებს გოეტეს ნათელი სახე, თითქოს დარდობსო, რომ ფაშისტ-ბარბაროსებს მისი ქვეყანა შუა საუკუნეების ბნელეთში ჩაუგდიათ. ბერტოლდის გულში იზრდება აღშფოთება, მაგრამ რაკი მას კავშირი არა აქვს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციურ ფრონტთან, იგი მხოლოდ ტრაგიკულად განიცდის თავის მძიმე მდგომარეობას,— მისი სათუთი ბუნება ვერ უძლებს სასტიკ სულიერ განსაცდელს და იგი თავს იკლავს.

უფრო მძიმე კატასტროფაში ვარდება ბერტოლდის ბიძა, დიდი მეცნიერი, სახელგანთქმული ქირურგი ედგარ ოპენჰაიმი. იგი თავდადებულია თავის საქმისათვის, მას უამრავი ბრმა ადამიანისათვის აუხელია თვალი თავისი შესანიშნავი ქირურგიული ოსტატობით. მაგრამ პირველ ხანებში იგი შორსა დგას საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან; ის შეუპყრია ილუზიას, თითქოს არსებობდეს პოლიტიკას მოწყვეტილი წმინდა მეცნიერება. მალე ამ ილუზიასაც ბოლო ელება: ფაშისტი ყაჩაღები შეიჭრებიან საავადმყოფოში და ფანჯრებიდან გადაისვრიან ყველა ექიმს, ვინც არიელი არ არის. მოიერიშეები მივარდებიან მასაც, ცნობილ ქირურგს — ედგარ ოპენჰაიმს, რომელიც ამ დროს თვალის რთულ ოპერაციას აკეთებს, დაუნდობლად სცემენ, ხოლო როცა ავადმყოფი, რომელსაც ჭრილობა გაეხსნება, პროტესტს განაცხადებს ფაშისტთა მხეცობის გამო, მოიერიშე ბარბაროსები მასაც გადმოაგდებენ საოპერაციო მაგიდიდან და იატაკზე დაუწყებენ თრევას. ცხვირპირგასისხლიანებულს და ტანისამოს ჩამოფხრეწილ ედგარ ოპენჰაიმს ფაშისტურ საპყრობილეში ჩაამწყვდევენ. იქ იგი პირველად ხვდება პირისპირ რევოლუციურ მუშებს, სისხლიანი ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ მოუდრეკელ კომუნისტებს. ცნობილ ხირურგს, რომელიც სხვებს უბრუნებდა თვალის სინათლეს აქ თავათ აეხილება პირველად გონების თვალი. მის თვალწინ იშლება ახალი სამყარო. იგი რწმუნდება, რომ ყოველი პატიოსანი მოქალაქის ვალია ებრძოლოს ფაშისტურ ბარბაროსობას. მის სულში იღვიძებს იმედი, რომ გერმანელი ხალხი დაამხობს სამგზის საზიზღარი და საძულველი ფაშიზმის ბატონობას.

ამ კინოფილმის უდიდესი მხატვრული სიმართლე მაყურებლის გულს ავსებს ფაშისტი მტარვალებისადმი მძულვარებითა და მრისხანებით. აქ ერთი ოჯახის ტრაგიკულ თავგადასავალში მოცემულია შემაძრწუნებელი სურათი იმ საშინელებისა, რომელიც ფაშისტებმა თავს დაატეხეს გერმანელ ხალხს. მაგრამ ფაშისტმა ბარბაროსებმა დაიმონეს არა მარტო გერმანელი ხალხი,—მათ გააჩაღეს მეორე იმპერიალისტური ომი და კისერზე მონობის უღელი დაადგეს ევროპის კულტუროსან ხალხებს. ფაშისტმა ბარბაროსებმა ესეც არ იკმარეს. ისინი მუხანათურად თავს დაესხნენ ახალი კულტურის კერას, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებს მთელი მშრომელი კაცობრიობა.

„მოსკოვი ქვეყნის გულია", — ამბობს ანტიფაშისტი მწერალი ვილი ბრედელი.

„ჩვენს მძიმე დროში, როცა მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს ფაშიზმი განადგურებას იმუქრება, როცა ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ თავისი თავი უნაყოფო და უსუსური ფრაზებით ამოწურა, წამებულ და დატანჯულ ხალხებს რჩებათ ერთად-ერთი დიდი იმედი: არსებობს საბჭოთა კავშირი, თავისუფლებისა და ნამდვილი დემოკრატიის ქვეყანა, დიდი სოციალისტური კონსტიტუციის სამშობლო", — სწერს გერმანელი რევოლუციონერი პოეტი ერიხ ვაინერტი.

მშრომელი კაცობრიობის მხსნელი— საბჭოთა დიდი ქვეყანა ასრულებს თავის დიდ ისტორიულ მოწოდებას: მისი ორასმილიონიანი ხალხი, დიდი ბელადის გარშემო ფოლადისებრი სიმტკიცით დარაზმული, სტალინური მეგობრობით გასალკლდევებული, ებრძვის ფაშიზმს და იგი მოსპობს მას. ჩვენი მამაცი წითელი არმიის შეუპოვრობა და ძლევამოსილება გასრესს ფაშისტურ ქვეწარმავალს.

ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო

ოთხშაბათს, 16 ივლისს, პლეხანოვის სახელობის კლუბში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მოაწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო. ამხ. სიმონ წვერავას შესავალი სიტყვის შემდეგ პოეტებმა ალიო მაშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, სანდრო შანშიაშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა და გ. ქუჩიშვილმა წაიკითხეს პატრიოტული საბრძოლო ხასიათის ლექსები საბჭოთა ხალხების სამამულო ომის შესახებ.

საღამომ კარგად ჩაიარა.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 33875